ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1/2

ბათუმი **20 თებერვალი 2014 წელი**

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“ , დირექტორი გიორგი გოგიტიძის სახით, (შემდგომში – „შემსყიდველი“), ერთის მხრივ და შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“ , მისი დირექტორი სახით, (შემდგომში – „მიმწოდებელი“), მეორის მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ავტონაწილების მიწოდება (შემდგომში საქონელი) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.(CPV 31160000 ელექტრო ძრავების, გენერატორებისა და ტრანსფორმატორების ნაწილები, CPV 34300000 მექანიკური სათადარიგო ნაწილები, ძრავებისა და ძრავის ნაწილების გარდა, CPV 34900000 სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობები და სათადარიგო ნაწილები, CPV 34913000 სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები, CPV 34351100 საბურავები ძრავიანი მსუბუქი მანქანებისათვის).

1.2. საქონლის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ღირებულება განისაზღვრება ფორმა N1-თ, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიღება-ჩაბარება

2.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

2.2. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.3. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

2.4. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

2.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

2.6. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი, მისი ექსპლუატაციის დროს, ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

3.3. 3.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია 2.5. პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3.5. მიმწოდებლის მიერ 3.4. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლოატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

4.2. შემსყიდველი ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შესაბამისი ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით.

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ინსპექტირების ჯგუფი ახორციელებს სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

4.4. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

5.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული თავისი გადაწყვეტილება.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცლილებების შეტანის გზით.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

7.5. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

7.6. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.07 პროცენტის ოდენობით.

7.7. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ხელშეკრულების 8.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ წარმოშობილი სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

11. ანგარიშსწორების ვალუტა

11.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

12. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

12.1. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს.

12.2. საქონლის ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

12.3. ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე.

12.4. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედდებულის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

12.5. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე ან/და სასაქონლო ზედდებულზე მიუთოთოს ხელშეკრულების ნომერი და ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

13.2. საქონლის ან მისი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

13.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფორმა N3 მითითებული დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში. შეფუთვამ უნდა გაუძლოს ინტენსიურ ამწევ-გადასატვირთ და გადატვირთვის დროს ექსტრემალური ტემპერატურის ზემოქმედებას.

13.4. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.6. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.7. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

13.8. ხელშეკრულება იდება სამი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი შემსყიდველთან.

14. საქონლის მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 02 ივლისიდან პერიოდი.

14.2. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედების ვადაა 2014 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

1) შემსყიდველი:	**2) მიმწოდებელი:**
სსიპ პროფესიული კოლეჯი ბლექსი	შპს „იბერია ტექ ავტომოტო“
საქართველო, ქალაქი ბათუმი	მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ
	ს/კ 236093473
სნ 245610398	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“	მფო 220101502
მფო 220101901	
ანგარიშის NGE88PC0163600100009464	ანგარიშის N GE29BG00000001535121

დირექტორი: გიორგი გოგიტიძე